წერილის ნომერი: **ბ/2192797**
თარიღი: **04/07/2018**
პინი: **####**

ადრესატი: შპს ეკოსერვის ჯგუფი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404553666
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ქუჩა სანაპირო N 8 (ნაკვეთი 4/27)

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ასლი:

ადრესატი: შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია
საიდენტიფიკაციო ნომერი: 202886788
მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდუბე ჩუღურეთის რაიონი, ვაგზლის მოედანი, №2

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 162-ე მუხლის მეორე ნაწილის, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი“-ს (შემდგომში მოხსენებული, როგორც „დადგენილება“) მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ქვეპუნქტის, ასევე დადგენილების 21-ე მუხლის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 21 თებერვლის #18.866 განკარგულების- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ეკოსერვის ჯგუფის“ დაფუძნების შესახებ დანართის მე-3 მუხლის 3.1.2 და 3.1.10 პუნქტების საფუძველზე, შემდგომი რეაგირების მიზნით, გეგზავნებათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) შემოსული შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის 2018 წლის 15 ივნისის #17/01181662959-18 წერილი და სამსახურის სპეციალისტის მიერ განხორციელებული დათვალიერების შედეგად გამოვლენილი ხე-მცენარის მდგომარეობის ამსახველი დათვალიერების ოქმი (დანართი 1).

დადგენილების მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ქვეპუნქტის საფუძველზე, საბაგირო გზის მშენებლობისთვისა და მისი უსაფრთხო ექსპლუატაციის მიზნით, სამსახური თანახმაა მოიჭრას ქ.თბილისში, დ.ჭონქაძის ქუჩის მიმდებარედ (ს.კ.: 01.15.01.003.040) არსებული 1 ძირი ზეხმელი და 2 ძირი ხმობადი ფიჭვი.

დადგენილების 21-ე მუხლის საფუძველზე ვინაიდან ტერიტორიაზე არსებული (ქ.თბილისი, დ.ჭონქაძის ქუჩის მიმდებარედ (ს.კ.: 01.15.01.003.040)) არსებული 10 ძირი ფიჭვი, 2 ძირი აკაკი და 3 ძირი საპნის ხე ხელს უშლის საბაგირო გზის მოწყობის სამუშაოების განხორციელებას, მათი სიდიდეებისა და მდგომარეობის გათვალისწინებით სამსახური თანახმაა გადაირგოს 10 ძირი ფიჭვი, 2 ძირი აკაკი და 3 ძირი საპნის ხე მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე.

დანართი : 13 ფურცელი.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური-პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)